საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION, SCIENCE, CULTURE AND SPORT OF GEORGIA

MES 0 20 0000845213

16/09/2020

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში შემოვიდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის, ვლადიმერ კონსტანტინიდის 2020 წლის 7 სექტემბრის N01/23652 მომართვა (სამინისტროში რეგისტრაციის N790145; 07/09/2020). აღნიშნული მომართვის თანახმად, საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული ისტორიულ ქართულ დიასპორებთან ურთიერთობების სენსიტიურობისა და მაღალი მნიშვნელობის გათვალისწინებით მიზანშეწონილია ხელი შეეწყოს აზერბაიჯანის რესპუბლიკაში მცხოვრებ ქართული წარმოშობის მოსწავლეებსა და სტუდენტებს საქართველოში განათლების მიღებაში. მოცემულ შემთხვევაში კი, სასურველია გამოინახოს საშუალება, რომ სახელმწიფომ დაფაროს ზემოაღნიშნულ პირთა კარანტინში განთავსების და COVID-19-ზე შემოწმების ტესტების ხარჯები. ამ მიზნებისათვის ზემოაღნიშნულ მომართვას დართული აქვს შესაბამის პირთა სიები (იხ. მიბმული ფაილები).

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, როგორც მოგეხსენებათ, ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პირობებში, 2020 წელს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე დარეგისტრირებული თანამემამულის სტატუსის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეების უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ შემუშავებულ იქნა პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს აღნიშნული პირებისათვის მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხვის შემთხვევაში, სწავლის საფასურის დაფინანსებას. ამდენად, ვეთანხმებით საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის მომართვაში ჩამოყალიბებულ ინიციატივას და მას მივიჩნევთ, როგორც შესაბამის სიაში მითითებულ პირთათვის დამატებით ღონისძიებას არსებულ ვითარებაში საქართველოში განათლებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.

ამასთანავე, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის მომართვაში ჩამოყალიბებული ინიციატივის საფუძველზე გასატარებელი ღონისძიება თვისობრივად არის

0102 ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. N52
52 Dimitry Uznadze str. Tbilisi 0102, Georgia
ტელ/Tel.: (+995 32)2 200 220

ერთჯერადი ხასიათის, რაც უკავშირდება ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) პრევენციაზე მიმართულ ზომებს. შესაბამისად, წარმოდგენილ სიებში მითითებულ პირთა კარანტინში განთავსებისა და COVID-19-ზე შემოწმების ტესტების ხარჯები უნდა დაფინანსდეს ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) პრევენცის მიზნით შექმნილი ფონდიდან - “StopCov.ge”.

შესაბამისად, გიგზავნით საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის, ვლადიმერ კონსტანტინიდის 2020 წლის 7 სექტემბრის N01/23652 მომართვას მხარდაჭერისა და მასში გაჟღერებული იდეის განხორციელებისათვის საჭირო სამართლებრივი აქტების საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ინიცირების მიზნებისათვის.

ამასთანავე, ზემოაღნიშნულ მომართვას თანდართულ სიებში მითითებულ პირთა შესახებ დამატებით მოგაწვდით საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის მონაცემების მიხედვით დაზუსტებულ ინფორმაციას.

პატივისცემით,

საქართველოს განათლების, მეცნიერების,
კულტურისა და სპორტის სამინისტრო
მინისტრის მოადგილე
მიცკევიჩი ნუნუ

ნ. მიცკევიჩი